ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №133269

ნომერი: AR138237

თარიღი : 09.04.2012

გაცემის თარიღი : 23.04.2012

გაცნობის თარიღი : 30.04.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაკაშიძე , N 10 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაკაშიძე , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გეწაძე პ/ნ 60001026126
- ქ.თბილისი (ვაშლიჯვრის დასახლება) სარაჯიშვილის ქ.1/30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.07.09 წლის №01/832 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 04.09.12 წელს №არ138237 განცხადებით მომართა შპს „საქართველოს ბუტიკების სასტუმროების“ დირექტორის გაი ბარნესის მინდობილმა პირმა - გ. გეწაძემ და მოითხოვა სამსახურის 02.07.09 წლის №01/832 ბრძანებაში დამკვეთად შპს „საქართველოს ბუტიკების სასტუმროების“ მითითება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 02.07.09 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ნაკაშიძის ქუჩა №8,10-ში, მოქალაქე გაი ბარნესის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განლაგებული უძრავი ძეგლის ცვლილების მიზნით №01/832 ბრძანებით გაცემულ იქნა ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დგინდება, რომ დღეისათვის გაი ბარნესი წარმოადგენს შპს „საქართველოს ბუტიკების სასტუმროების“ კომპანიის დირექტორს, რომელმაც მის საკუთრებაში არსებული ქონება მდებარე - ქალაქ თბილისში, ნაკაშიძის ქუჩა №8-10-ში შეიტანა ზემოაღნიშნული იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
ვინაიდან, დღეისათვის ნაკაშიძის ქუჩა №8-10-ში არსებული საპროექტო ობიექტი წარმოადგენს შპს „საქართველოს ბუტიკების სასტუმროების“ საკუთრებას, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეიტანოს ცვლილება 02.07.09 წლის №01/832 ძეგლზე სამუშაოების ნებართვაში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „საქართველოს ბუტიკების სასტუმროების“ დირექტორის წარმომადგენლის გ. გეწაძის 04.09.12 წ. №არ138237 განცხადება;
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.07.09 წ. №01/832 ბრძანებაში და №ნ/824-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ: დამკვეთად მიეთითოს შპს „საქართველოს ბუტიკების სასტუმროების“ კომპანია;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.07.09 წ. №01/832 ბრძანებასთან, №ნ/824-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან და 04.20.11 წ. #1474 ბრძანებასთან ერთად ;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარატავს ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.